სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„----16----“----------05----------“ 2016

წელი

ეგზ. № 1

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში 2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში ადმინისტრაციული და საგზაო ინფრასტრუქტურის პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N27/36
(01.01.2013-01.07.2015)

2016 წელი

სარჩევი

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგი 3

შესავალი ნაწილი 6

აუდიტის მიზანი 6

აუდიტის მასშტაბი 6

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება 6

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 7

აუდიტორის პასუხისმგებლობა 7

აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა 7

ბიუჯეტი 8

ადმინისტრაციული ხარჯი 10

შრომის ანაზღაურება 10

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 14

მივლინება 15

ოფისის ხარჯები 16

წარმომადგენლობითი ხარჯი 18

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 19

არაფინანსური აქტივების ზრდა 21

სატრანსპორტო საშუალებები 22

ფასიანი სანომრე ნიშნები, ავტოპარკირების მომსახურება და ჯარიმები 24

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა 24

გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით შესყიდული სამუშაოები 24

შიდა კვარტალური ეზოების ასფალტირება 26

ტექნიკური ზედამხედველი 28

დაურიცხავი პირგასამტეხლო 29

შესყიდვების ხარვეზი 29

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი 30

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები 30

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგი

- 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში პრემიის სახით გაიცა 3 682.0 ათასი ლარი. 2013 წელს -1 334.4 ათასი ლარი, რაც „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლით დახარჯული თანხის 49%-ს შეადგენს. 2014 წელს პრემიის მოცულობა 1 943.5 ათასი ლარია, თანამდებობრივი სარგოს - 76%. 2015 წლის 6 თვეში საპრემიო თანხა და სახელფასო დანამატი 496.7 ათას ლარს შეადგენს, რაც თანამდებობრივ სარგოს 39 %-ია.
- 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში საკრებულოსა და მერიაში დასაქმებულ საჯარო მოხელეებზე, სულ დახარჯული საპრემიო თანხის 85.8% - 3 160.9 ათასი ლარი გაიცა სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით. პრემიების გაცემის დოკუმენტაცია არ იძლევა საშუალებას გაირკვეს, რა კონკრეტული დამსახურებისთვის ხდებოდა მოსამსახურეთა პირადი წვლილის შეფასება და პრემირება.
- 2014 წლის 22 აგვისტოს საკრებულოს დადგენილებით პრემიის გაცემა საჯარო მოხელეზე შესაძლებელია კვარტალში მხოლოდ ერთჯერ. 2014-2015 წლებში აღნიშნული ნორმის დარღვევით გაცემულია 191.8 ათასი ლარის პრემია.
- 2015 წლის იანვრიდან მერის და საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) დაწესდა წლის განმავლობაში ყოველთვიურად სახელფასო დანამატის გაცემა. 2015 წლის 6 თვის განმავლობაში გაიცა 92.6 ათასი ლარის დანამატი. მიზანშეწონილია ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი დანამატის შესახებ გამოცემულიყო ყოველთვიურად ან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით, რომლის გამოცემის უფლებამოსილება, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, გააჩნია მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში ყოველთვიური დანამატის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება წინასწარ არის მიღებული, წლის დასაწყისში. დანამატის გაცემის საფუძველს წარმოადგენს მოხელის ზეგანაკვეთური მუშაობა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დავალებების შესრულება. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, რის საფუძველზე განისაზღვრა წინასწარ მთელი წლის განმავლობაში, რომელი საჯარო მოხელე იმუშავებდა ზეგანაკვეთურად და შეასრულებდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებებს.
- კანონის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობის/ მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის 10 პროცენტს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოში შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 26 ერთეულს. 2015 წლის 6 თვის მანძილზე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაქმებულია სხვადასხვა რაოდენობის შტატგარეშე მოსამსახურე, რომელთა რიცხოვნობა მერყეობს 28-დან 53-მდე.

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში 2013 წელს შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდა 219, 2014 წელს - 270, 2015 წლის 6 თვეში - 70 შტატგარეშე მოსამსახურეს, რომელთა შრომის ანაზღაურებამ ჯამში 3 020.9 ათასი ლარი შეადგინა. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, შტატგარეშე მოსამსახურეთა მაღალი რიცხოვნობა რამდენად იყო ობიექტური საჭიროებით განპირობებული.
- 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა მოსამსახურეთა ქვეყნის გარეთ მივლინებაზე დახარჯა 191.4 ათასი ლარი. საზღვარგარეთ მივლინებული პირების მიერ არ არის შედგენილი ანგარიში მივლინების შედეგების შესახებ.
- 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში შიდა სატელეფონო ნომრებიდან ქვეყნის შიგნით მობილურ ოპერატორებთან განხორციელებულ საუბრებზე დაიხარჯა 79 ათას ლარზე მეტი, მაშინ როდესაც მუნიციპალიტეტს შესყიდული ჰქონდა კორპორატიული ნომრებით მომსახურება სასაუბრო ლიმიტებით.
- 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ კერძო ტელეკომპანიას სხვადასხვა სარეკლამო მომსახურებისათვის აუნაზღაურა 368.3 ათასი ლარი. აღნიშნულ პერიოდში თვითმმართველი ერთეულისგან მიღებული დაფინანსება ტელეკომპანიის საერთო შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს - 57 %-ს შეადგენს.
- 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის მანძილზე ქალაქ რუსთავის მერიამ სხვადასხვა სარეკლამო მომსახურებისათვის კერძო გაზეთს აუნაზღაურა 143.1 ათასი ლარი. 2015 წელს შესყიდვა განხორციელდა ექსკლუზიური უფლებამოსილების მოტივით, გამარტივებული შესყიდვის გზით, თუმცა აღნიშნული შესყიდვა არ წარმოადგენდა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიურ უფლებას. კერძო გაზეთის ერთ-ერთი 25%-ანი წილის მფლობელი არის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსის მოადგილე. აღნიშნული სამსახური მედიაზე დახარჯული ფაქტიური თანხების ინსპექტირებას ახორციელებს. შედეგად არ არის დაცული კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ.
- 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში მერიამ შადრევნის შეიარაღებული დაცვის მომსახურების შესყიდვაზე დახარჯა 162.4 ათასი ლარი. ვინაიდან შადრევანი მდებარეობს მერიის შენობის წინ, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა აღნიშნული ობიექტის დაცვის საჭიროების საკმარისი და შესაფერისი რწმუნება.
- 2015 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით, საკრებულოს თავმჯდომარე სარგებლობდა 2 ერთეული პლანშეტური კომპიუტერით, 2 ნოუთბუქით და 1 პერსონალური კომპიუტერით. გარდა ამისა, 4 ერთეული პლანშეტური კომპიუტერი გამოუყენებელია და შენახულია მერიის ადმინისტრაციის სამსახურის სეიფში.

- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით, 2013 წელს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტს თანამშრომლების სამსახურებრივი მიმოსვლისათვის უნდა გამოეყენებინა 6 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2014 წელს რეკომენდირებული იყო - 9 ერთეული, ხოლო 2015 წელს - 8 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა. თუმცა მუნიციპალიტეტი სარგებლობდა 15 ერთეული ავტომანქანით, რაც აღემატება კანონმდებლობით რეკომენდირებულ ზღვრულ ოდენობას.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული 5 ერთეული სატრანსპორტო საშუალების ადგილსამყოფელის შესახებ. აუდიტის ობიექტის მიერ არ არის გატარებული შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.
- 2015 წელს მერის სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალება ჩანაცვლდა ახალი ავტომანქანით. კანონმდებლობით, შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 21.0 ათას დოლარს. ჩანაცვლებული ავტომანქანის ღირებულებამ შეადგინა 25.0 ათას დოლარზე მეტი, რაც აღემატება კანონმდებლობით რეკომენდირებულ ნორმას.
- 2013-2014 წლებში შეიცვალა მერიის ბალანსზე რიცხული ავტომობილების სანომრე ნიშნები. კერძოდ, RST 555 - RST 009-ით, ღირებულებით 300 ლარი; SAK 010 - RST 041-ით, ღირებულებით 315 ლარი. მერიის მიერ არ არის დასაბუთებული სანომრე ნიშნების შეცვლის აუცილებლობა.
- ქალაქ რუსთავის მერიამ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულება გააფორმა გზების მოწყობის სამუშაოებზე ღირებულებით 1 999.9 ათასი ლარი. აღნიშნული შესყიდვა არ შეიძლება ჩაითვალოს გადაუდებელ აუცილებლობად, რადგან სამუშაოების წინასწარი დაგეგმვა და ელექტრონული ტენდერის გზით შესყიდვა რეალურად შესაძლებელი იყო.
- კანონმდებლობის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული გზით შესყიდვისას, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება უნდა ანაზღაურდეს ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ 1 973.6 ათასი ლარის ღირებულების გზების მოწყობის სამუშაოები ანაზღაურებულია კანონმდებლობის დარღვევით.
- 2013 წელს შიდა კვარტალური ეზოების ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ჩატარდა საინჟინრო და სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა. დასკვნის მიხედვით, 3 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული ზოგიერთი სამუშაო იყო უხარისხო. მიუხედავად აღნიშნულისა, მერიას ხარვეზების აღმოსაფხვრელად სათანადო ღონისძიებები არ განუხორციელებია.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა გზების მოწყობის ტექნიკური ზედამხედველის მომსახურების შესყიდვაზე დახარჯა 101.1 ათასი ლარი. თუმცა მერიაში არსებობს

შესაბამისი სამსახური, რომელსაც ევალება საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის პროცესების ორგანიზება, მონიტორინგი და ზედამხედველობა.

- 2013 წელს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ გზების მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, მიმწოდებლებზე დაურიცხავი პირგასამტეხლოს სახით მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა 167.0 ათას ლარზე მეტი.

შესავალი ნაწილი

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში 2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში ადმინისტრაციული და საგზაო ინფრასტრუქტურის პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება შემდეგი საკითხები:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა - საქმიანობის წარმართვისას, საჯარო რესურსების გამოყენებისას და ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მოქმედ საკანონმდებლო და სხვა აქტების მოთხოვნების დაუცველობა;

- არამართლზომიერი ხარჯვა - სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებების დაუცველობა;

ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგად.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და საგზაო ინფრასტრუქტურის პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, აუდიტმა მოიცვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გადასახდელები - ჯამში 31 566.2 ათასი ლარი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილ იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ 2013, 2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ფართობია 60 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 124.9 ათას კაცს[1]. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის[2], საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

---

[1] www.nala.ge; www.geostat.ge, www.reestri.gov.ge

[2] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მოქმედებს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ხოლო არჩევნებამდე მოქმედებდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვ.

ბიუჯეტი

2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის გადასახდელები განისაზღვრა 94 298.1 ათასი ლარით. ადმინისტრაციის შენახვაზე გაწეული ხარჯი გადასახდელების დაახლოებით 18 %, ხოლო საგზაო მშენებლობა - 16%-ია. მათზე თანხობრივად ჯამში დაიხარჯა 31 566.2 ათას ლარი.

ადმინისტრაციული ხარჯი გულისხმობს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის საჭირო სახსრებს. აღნიშნული მიმართულებით სულ გახარჯულია 16 901.4 ათასი ლარი. იგი მოიცავს ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურებას, სამივლინებო, ოფისის, წარმომადგენლობით და შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯებს. ასევე, საოფისე ტექნიკით, სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფას და მათი მოვლა-შენახვის ხარჯებს და სხვა. ადმინისტრაციის შენახვაზე გაწეული ხარჯი გადანაწილებულია ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლებში.

ცხრილი 1: 2013-2014 წწ და 2015 წ 6 თვის ადმინისტრაციული ხარჯი (ათასი ლარი)

	2013 წ	2014 წ	2015 წ 6 თვე	სულ
შრომის ანაზღაურება	4 043,6	4 502,1	1 761,7	10 307,4
საქონელი და მომსახურება	2 693,7	2 712,6	693,5	6 099,8
სოციალური უზრუნველყოფა	46,6	173,9	18,0	238,5
სხვა ხარჯები	39,2	38,6	2,5	80,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	119,2	26,1	30,1	175,4
სულ	6 942,2	7 453,3	2 505,9	**16 901,4**

2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში ადმინისტრაციის შენახვაზე გაწეული ხარჯების 60 %-ს „შრომის ანაზღაურება“ მოიცავს. „საქონელი და მომსახურებაში“ მნიშვნელოვანი წილი უკავია „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებასა“ (50 %) და „ოფისის

ხარჯებს“ (17 %). „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება მოიცავს თანამშრომელთა ბიულეტინებს და კომპენსაციებს, „სხვა ხარჯების მუხლი“ - პერსონალის და სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯს. ადმინისტრაციის შენახვაზე „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით ხარჯი გაწეულია სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილების, კომპიუტერების, ავეჯის და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესყიდვაზე.

2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამით დაიხარჯა 14 664.8 ათასი ლარი.

ცხრილი 2: 2013-2014 წწ და 2015 წ 6 თვის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა **(ათასი ლარი)**

	2013 წ	2014 წ	2015 წ 6 თვე	სულ
გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6 124,5	5 993,0	2 436,8	14 554,3
ქუჩებში ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების, საგზაო ნიშნებისა, სიჩქარის შემზღუდავი რკინა–ბეტონის ბარიერების მოწყობა და რადარების მონტაჟი	24,2	73,0	0,0	97,2
საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებებზე საინფორმაციო ტაბლოების მოწყობა, GPS მოწყობილობების შეძენა და პროგრამული უზრუნველყოფა	12,2	1,1	0,0	13,3
სულ	6 160,9	6 067,1	2 436,8	**14 664,8**

პროგრამა გულისხმობს ქალაქ რუსთავში გზების საფარის, ტროტუარების და შიდა კვარტალური ეზოების ასფალტის საფარის რეაბილიტაციას. ასევე ქუჩებში ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების მოწესრიგებას, საგზაო ნიშნების, სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების მოწყობას და სხვა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში ადმინისტრაციული ხარჯებისა და საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვა განახორციელა 204 გამარტივებული შესყიდვის, 117 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, 25 ელექტრონული ტენდერისა და 13 კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით. აღნიშნულ შესყიდვებზე სულ სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 18 001.0 ათასი ლარი.

ცხრილი 3: 2013-2014 წწ და 2015 წ 6 თვეში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები ადმინისტრაციული ხარჯებისა და გზების მშენებლობის შესახებ **(ათასი ლარი)**

შესყიდვის საშუალება	**2013 წელი**		**2014 წელი**		**2015 წ. 6 თვე**		**სულ**	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
გამარტივებული შესყიდვა	81	509,4	89	645,2	34	50,0	204	1 204,6

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	47	634,3	37	274,0	33	5 178,3	117	6 086,6
ელექტრონული ტენდერი	10	4 899,5	13	4 833,1	2	134,7	25	9 867,3
კონსოლიდირებული ტენდერი	4	482,1	5	262,9	4	97,5	13	842,6
სულ:	**142**	**6 525,3**	**144**	**6 015,2**	**73**	**5 460,5**	**359**	**18 001,0**

ადმინისტრაციული ხარჯი

შრომის ანაზღაურება

2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურების სახით გაწეულია 10 307.5 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის, 2013 წელს - 4 043.6 ათასი ლარი, 2014 წელს - 4 502.1 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლის 6 თვეში - 1 761.8 ათასი ლარი.

ცხრილი 3: შრომის ანაზღაურება 2013-2014 წწ და 2015 წ 6 თვე **(ათასი ლარი)**

	2013 წ	*2014 წ*	*2015 წ. 6 თვე*	*სულ*
თანამდებობრივი სარგო	2 702,8	2 552,1	1 265,1	**6 520,0**
წოდებრივი სარგო	6,4	6,5	0,0	**12,9**
პრემია	1 334,4	1 943,5	404,1	**3 682,0**
დანამატი	0,0	0,0	92,6	**92,6**
სულ	4 043,6	4 502,1	1 761,8	**10 307,5**

წარმოდგენილი მონაცემებით, 2014 წელს წინა წელთან შედარებით, გაიზარდა „შრომის ანაზღაურების“ მუხლი. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში 41 საშტატო ერთეულით შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა და შესაბამისად შემცირდა თანამდებობრივი სარგოს მუხლი. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ზრდა გამოწვეულია საპრემიო თანხების გაზრდით.

პრემიები

2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში ქ. რუსთავის მერიაში სულ პრემიის სახით გაიცა 3 682.0 ათასი ლარი. მათ შორის: 2013 წელს -1 334.4 ათასი ლარი, რაც „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლით დახარჯული თანხის 49%-ს შეადგენს. 2014 წელს პრემიის მოცულობა 1943.5 ათასი ლარია, თანამდებობრივი სარგოს - 76%. 2015 წლის 6 თვეში საპრემიო თანხა და სახელფასო დანამატი 496.7 ათას ლარს შეადგენს, რაც თანამდებობრივ სარგოს 39 %-ია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში პრემია გაიცემოდა სხვადასხვა დღესასწაულებთან დაკავშირებით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისათვის. 2013-2014 წლებსა და 2015 წლის

6 თვეში საკრებულოსა და მერიაში დასაქმებულ საჯარო მოხელეებზე, სულ დახარჯული საპრემიო თანხის 85.8% - 3 160.9 ათასი ლარი გაიცა სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით[3]. პრემიების გაცემის დოკუმენტაცია არ იძლევა საშუალებას გაირკვეს, რა კონკრეტული დამსახურებისთვის ხდებოდა მოსამსახურეთა პირადი წვლილის შეფასება და პრემირება. აღსანიშნავია, რომ პრემიები გაცემულია იმ თანამშრომლებზეც, რომლებიც იმყოფებოდნენ შვებულებაში ან ბიულეტინზე და ვერ შეძლებდნენ საერთო შედეგში წვლილის შეტანას.

აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია კონკრეტული სისტემის შესახებ, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა გასაცემი პრემიის მოცულობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც საპრემიო თანხა მნიშვნელოვნად აჭარბებს დასაქმებულის თანამდებობრივ სარგოს. თანამდებობრივ სარგოსთან შედარებით განსაკუთრებით დიდი რაოდენობის პრემია გაცემულია შემდეგ პერიოდებში:

- 2013 წელს პრემია გაიცა ყოველთვიურად. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით იანვარში, აპრილში, ივნისში, აგვისტოსა და ნოემბერში პრემია გაცემულია ყველა თანამშრომელზე, თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით, ჯამური თანხით 1 166.9 ათასი ლარი. მარტის თვეში პრემია გაიცა მუნიციპალიტეტის ქალ თანამშრომლებზე საერთო თანხით 17.8 ათასი ლარი. დარჩენილ თვეებში პრემია გაიცა მხოლოდ თანამდებობის პირებსა და ზოგიერთ თანამშრომელზე. კერძოდ, 24 თანამდებობის პირზე თანხით 59.0 ათასი ლარი, 93 თანამშრომელზე თანხით 90.7 ათასი ლარი, ბრძანებებში არ არის მითითებული პრემიის გაცემის საფუძველი.
- 2014 წლის იანვარში, დღესასწაულთან დაკავშირებით ორგანიზაციის ყველა თანამშრომელზე გაიცა პრემია თანამდებობრივი სარგოს 100%, სულ 228.5 ათასი ლარი.
- 2014 წლის თებერვალში პრემია გაიცა 2-ჯერ ჯამში 292.6 ათასი ლარი. მათ შორის ზოგიერთ საჯარო მოხელეზე სამსახურებრივი დავალებების სანიმუშო შესრულებისათვის პრემია გაიცა 48.6 ათასი ლარი და დედის დღესთან დაკავშირებით ყველა თანამშრომელზე 244.0 ათასი ლარი.
- 2014 წლის მარტში პრემიები გაცემულია თანამდებობის პირებზე, სამსახურის უფროსებსა და ზოგიერთ შემთხვევაში სპეციალისტებზე, თანამდებობრივი სარგოს 100%-ის, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში 200%-ის ოდენობით, ჯამური თანხით 72.7 ათასი ლარი.
- 2014 წლის აპრილში, მაისში და ივნისში სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით პრემია გაიცა მერიისა და საკრებულოს ძირითადად ყველა საჯარო მოხელეზე[4], ჯამური თანხით 845.3 ათასი ლარი. გარდა რამდენიმე შემთხვევისა, თანამდებობის პირებზე, პრემია გაიცა თანამდებობრივი სარგოს 200%-ის, ხოლო დანარჩენ თანამშრომლებზე 100%-ის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ქ. რუსთავის მერი 2 მაისიდან 16 ივნისის ჩათვლით

[3] 2013 წელს სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით გაიცა 1 184.7.0 ათასი ლარი, რაც წლის განმავლობაში გაცემული პრემიის 88.8%-ს შეადგენს. 2014 წელს - 1 751.8 ათასი ლარი, წლის მანძილზე გაცემული პრემიის 90.1%. 2015 წელს 6 თვის განმავლობაში - 224.4 ათასი ლარი, გაცემული პრემიის 55.5%.

[4] აპრილსა და მაისში პრემია გაიცა ყველა თანამშრომელზე, ივნისში რამდენიმე თანამშრომელზე პრემია არ გაცემულა.

იმყოფებოდა უხელფასო შვებულებაში. მაისის თვეში მერზე გაცემულია პრემია თანამდებობრივი სარგოს 200%-ის ოდენობით.

- 2014 წლის ივლისში დღესასწაულთან დაკავშირებით პრემია გაიცა 35 საჯარო მოხელეზე, საერთო თანხით 11.7 ათასი ლარი.
- 2014 წლის 6 თვეში გაცემულია წლის განმავლობაში გაცემული საპრემიო თანხის 76%.
- 2014 წლის ოქტომბერში რუსთავქალაქობის დღესასწაულთან დაკავშირებით საკრებულოს თანამდებობის პირებსა და აპარატის უფროსზე, ასევე მერიის თანამდებობის პირებზე პრემია გაიცა თანამდებობრივი სარგოს 100%, სულ 42.1 ათასი ლარი[5].
- 2014 წლის ნოემბერსა და დეკემბერში დღესასწაულთან დაკავშირებით ქ. რუსთავის მერიის და საკრებულოს ძირითადად ყველა საჯარო მოხელეზე, პრემია გაცემულია თანამდებობრივი სარგოს 100%, ჯამურად 404.0 ათასი ლარი.
- 2015 წლის აპრილში დღესასწაულთან დაკავშირებით პრემია გაიცა მერიის და საკრებულოსა ყველა საჯარო მოხელეზე თანხით 204.7 ათასი ლარი. იანვარში, მარტსა და მაისში პრემია გაიცა მხოლოდ თანამდებობის პირებსა და ზოგიერთ თანამშრომელზე. კერძოდ, 24 თანამდებობის პირზე თანხით 89.7 ათასი ლარი, 139 თანამშრომელზე თანხით 107.8 ათასი ლარი.
- საკრებულოს თავმჯდომარეზე 2013 წელს პრემიის სახით გაცემულია 5.7 ათასი ლარი, 2014 წელს - 37.5 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლის 6 თვეში - 8.3 ათასი ლარი.
- ქალაქის მერზე 2013 წელს პრემიის სახით გაცემულია 11.0 ათასი ლარი, 2014 წელს - 27.5 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლის 6 თვეში - 8.3 ათასი ლარი.

2014 წლის 22 აგვისტოს საკრებულომ მიიღო დადგენილება „ქალაქ რუსთავის მერიის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა პრემიების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის შესახებ“. აღნიშნულით განისაზღვრა მერიის თანამდებობის პირებსა და მოსამსახურეთა პრემირების წესი. დადგენილებით პრემია შესაძლებელია გაიცეს საჯარო მოხელეზე კვარტალში ერთხელ. წარმოდგენილი დოკუმენტაცის მიხედვით, 2014 წლის მე-4 კვარტალში პრემია გაიცა კვარტალში სამჯერ, ხოლო 2015 წელს პირველ კვარტალში ორჯერ - იანვარში და მარტში. დადგენილი ნორმის დარღვევით, სულ გაცემული პრემია შეადგენს 191.8 ათას ლარს. მათ შორის 2014 წელს ნორმის ზემოთ გაიცა 172.1 ათასი ლარი, ხოლო 2015 წელს 19.7 ათასი ლარი.

სახელფასო დანამატი

2015 წლის იანვრიდან ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი პრემირებასთან ერთად გადავიდა სახელფასო დანამატების გაცემის პრაქტიკაზე. 2015 წლის 6 თვის განმავლობაში დანამატის სახით გაიცა 92.6 ათასი ლარი. ზოგიერთ შემთხვევაში თანამდებობის პირებსა და

[5] საკრებულოს თანამდებობის პირებსა და აპარატის უფროსზე რუსთავქალაქობის დღესასწაულთან დაკავშირებით - 18.3 ათასი ლარი, ხოლო მერიის თანამდებობის პირებზე - დღესასწაულის სანიმუშოდ ორგანიზებისათვის - 23.8 ათასი ლარი

თანამშრომლებზე დანამატი და პრემია გაიცა ერთდროულად. 10 შემთხვევაში გაცემული პრემია და დანამატი ჯამში აღემატება თანამდებობრივ სარგოს და მის 120-დან -170-მდე %-ს შეადგენს.

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ დანამატის გაცემის საფუძველს წარმოადგენს მოხელის ზეგანაკვეთური მუშაობა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დავალებების შესრულება. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, რის საფუძველზე განისაზღვრა წინასწარ მთელი წლის განმავლობაში, რომელი საჯარო მოხელე იმუშავებდა ზეგანაკვეთურად და შეასრულებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებებს.

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ დანამატის გაცემის წესი დაამტკიცა ბრძანებებით. წარმოდგენილი ინფორმაციით სულ მიღებულია 9 სამართლებრივი აქტი, მათ შორის 2 ბრძანების საფუძველზე დანამატი გაიცა ერთჯერადად, ხოლო 7 ბრძანებით დაწესდა დანამატის გაცემა ყოველთვიურად, 2015 წლის ბოლომდე. კერძოდ:

- ქ. რუსთავის მერის ბრძანებით[6] ზეგანაკვეთური მუშაობის და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის, ყოველთვიური სახელფასო დანამატი დაუწესდა შემდეგ პირებს: ქ. რუსთავის მერს თანამდებობრივი სარგოს 80%-ის, ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს და მოადგილეს თანამდებობრივი სარგოს 75%-ის, მერის მრჩეველს თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით. ასევე, დანამატი დაუწესდა მერიის სამსახურის უფროსს თანამდებობრივი სარგოს 50%-ის და 3 დამხმარე მოსამსახურეს (მძღოლი) 45%-ის ოდენობით.
- ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებებით[7], ზეგანაკვეთური მუშაობისა და საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის, ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დავალებების სანიმუშო შესრულებისათვის ყოველთვიური სახელფასო დანამატი დაუწესდა შემდეგ პირებს: საკრებულოს თავმჯდომარეს თანამდებობრივი სარგოს 80%-ის ოდენობით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს თანამდებობრივი სარგოს 70%-ის, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების თავმჯდომარეებს თანამდებობრივი სარგოს 60%-ის, ხოლო თანამდებობის პირების[8] მძღოლებს - 40%-ის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ მერის ბრძანება მოქმედი კანონმდებლობით[9] წარმოადგენს თანამდებობის პირის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ერთჯერადი გამოყენებისაა, ხოლო ბრძანება დანამატის შესახებ თავისი შინაარსით არის დროებითი და მრავალჯერადი ხასიათის (მოქმედებს ყოველთვიურად, წლის

---

[6] ქ. რუსთავის მერის დანამატი დაწესდა მერის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 აპრილის № 622 ბრძანებით. ქ, რუსთავის მერის 2015 წლის 21 იანვარს №80 ბრძანებით დანამატი დაუწესდა მერის მოადგილეებს, მერის მრჩეველს - 5 მაისის № 689 ბრძანებით, სამსახურის უფროსებს და მძღოლებს - 29 ივნისის №1022 ბრძანებებით.

[7] საკრებულოს თავმჯდომარეს დანამატი დაუწესდა 2015 წლის 19 მაისს საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ-ის №56 ბრძანებით. საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 26 ივნისს №62 ბრძანებით სახელფასო დანამატი დაენიშნათ თავმჯდომარის მოადგილეებს, ხოლო 2015 წლის 29 ივნისის №63 ბრძანებით - კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეებს და თანამდებობის პირების მძღოლებს.

[8] საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების მძღოლებს.

[9] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 61, პუნქტი 3

განმავლობაში). „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის[10] მიხედვით, დაუშვებელია ინდივიდუალური შინაარსის სამართლებრივი აქტის ნორმატიული აქტის სახით მიღება (გამოცემა). აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი დანამატის შესახებ გამოცემულიყო ყოველთვიურად ან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით, რომლის გამოცემის უფლებამოსილება, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, გააჩნია მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტიდან „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 3 020.9 ათასი ლარის ხარჯი.

- 2013 წელს ხელშეკრულება გაფორმდა 219 შტატგარეშე მოსამსახურესთან. მათზე შრომის ანაზღაურების სახით გაიცა 1 341.3 ათასი ლარი.
- 2014 წელს ხელშეკრულება გაუფორმდა 270 შტატგარეშე მოსამსახურეს. გაცემული შრომის ანაზღაურება შეადგენს 1 513.4 ათას ლარს.
- 2015 წლის 6 თვეში ხელშეკრულება გაფორმდა 70 შტატგარეშესთან და მათზე შრომის ანაზღაურების სახით გაიცა 166.2 ათასი ლარი, მათ შორის პრემია 16.4 ათასი ლარი.

2015 წლის 1 იანვრიდან ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობის/ მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის 10 პროცენტს[11]. შესაბამისად ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 26 ერთეულს. 2015 წლის 6 თვის მანძილზე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოში თვეების მიხედვით დასაქმებულია სხვადასხვა რაოდენობის შტატგარეშე მოსამსახურე, რომელთა რიცხოვნობა მერყეობს 28-დან 53-მდე. აღნიშნული მნიშვნელოვნად აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმას. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, შტატგარეშე მოსამსახურეთა მაღალი რიცხოვნობა რამდენად იყო ობიექტური საჭიროებით განპირობებული.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მოსამსახურეებს უფორმდებოდა შრომითი ხელშეკრულებები 2-დან 6 თვემდე ვადით, ხოლო შემდეგ უგრძელდებოდათ ვადა. წარმოდგენილი მასალების შესწავლით ირკვევა, რომ შტატგარეშე მოსამსახურეებთან ხელშეკრულებები უმეტეს

[10] საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 5.

[11] საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ მუხლი 156, პუნქტი 2

შემთხვევაში გაფორმებულია მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. შტატგარეშე მოსამსახურედ უმეტეს შემთხვევაში დანიშნულია მთავარი, წამყვანი და უფროსი სპეციალისტები. 2013 წელს აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებულია შტატგარეშე მოსამსახურეთა 80%, 2014 წელს - 79%, ხოლო 2015 წელს - 50%.

2015 წლის 6 თვეში შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაიცა 16.4 ათასი ლარის პრემია. აღსანიშნავია რომ, შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომითი ხელშეკრულებები დამატებით ანაზღაურებას და წახალისებას არ ითვალისწინებდა. აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი არ ითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიის თანამშრომელთა პრემიის ხარჯს.

მივლინება

2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტიდან „მივლინების“ მუხლით გახარჯულია 191.8 ათასი ლარი. მათ შორის ძირითადი ნაწილი 191.4 ათასი ლარი დაიხარჯა ქვეყნის გარეთ მივლინებაზე. აღნიშნული მუხლისთვის წლების მიხედვით დამახასიათებელია კლების ტენდენცია, რაც განპირობებულია მივლინებების რაოდენობებისა და მივლინებულ პირთა რიცხოვნობის კლებით.

დიაგრამა N1: 2013-2014 წწ და 2015 წ 6 თვეში მივლინება ქვეყნის გარეთ



წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ საზღვარგარეთ მივლინებული პირების მიერ არ არის მომზადებული ანგარიში მივლინების მიმდინარეობის, შედეგებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. შესაბამისად, არ ხდება მივლინებით მიღწეული შედეგების განხილვა და შედარება დასახულ მიზნებთან. ქალაქ რუსთავის მერიაში არ არის დანერგილი პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მივლინებაში მიღებული გამოცდილების თანამშრომლებისათვის გაზიარებას.

კანონმდებლობის თანახმად[12], ქვეყნის გარეთ მივლინებული პირი არ არის ვალდებული ორგანიზაციაში წარადგინოს საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯის

[12] „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ 2005 წლის 20 აპრილის პრეზიდენტის ბრძანებულება მუხლი 18

დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მერიის მიერ თანხები ანაზღაურებულია აღნიშნულის გათვალისწინებით. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში მივლინებული პირის მიერ სასტუმროთი სარგებლობისა და სადღეღამისო ხარჯების დღეთა რაოდენობა ემთხვევა. აღნიშნული წარმოშობს სასტუმროში ბოლო დღე-ღამის ღირებულების გადაუხდელობის რისკს. ვინაიდან მივლინებულ პირებს არ ევალებოდათ საცხოვრებელი ფართობის დაქირავებაზე გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმისა, თუ რამდენი დღით ისარგებლა მივლინებულმა სასტუმროს მომსახურებით.

რეკომენდაცია:

- მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს წესი მივლინების ანგარიშის წარმოდგენის შესახებ, რომლის საშუალებით მოხდება მივლინებაში მიღებული გამოცდილების თანამშრომლებისათვის გაზიარება.
- დანერგოს შესაფერისი პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელი ფართის დაქირავების ღირებულების ანაზღაურებას შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

ოფისის ხარჯები

2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ოფისის შენახვაზე გაწეულია 1 036.6 ათასი ლარის ხარჯი. მათ შორის 28% კომუნალური ხარჯია, კავშირგაბმულობის ხარჯმა 24%, ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტებმა 14%, საკანცელარიო საგნების და მასალების შესყიდვამ 11% შეადგინა, დანარჩენი 23% დაიხარჯა საგამომცემლო სასტამბო მომსახურების, სანიტარული საგნების და მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა-მონტაჟზე.

კავშირგაბმულობის ხარჯი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან კავშირგაბმულობის ხარჯის მუხლით გაწეულია 253.2 ათასი ლარი. აღნიშნული მოიცავს სატელეფონო მომსახურების, ციფრული ტელევიზიის, ინტერნეტის და სხვა ხარჯებს.

ცხრილი 4: კავშირგაბმულობის ხარჯი 2013-2014 წწ და 2015 წ 6 თვე **(ათასი ლარი)**

	კავშირგაბმულობის ხარჯები	2013 წ	2014 წ	2015 წ 6 თვე	სულ
1	საქალაქო სატელეფონო სასაუბრო მომსახურება	60,5	55,8	19,8	136,1
2	მობილური სატელეფონო სასაუბრო მომსახურება	21,9	24,2	10,7	56,8
3	როუმინგი	2,9	0,6	0,5	4,0

4	ციფრული ტელევიზია	3,9	4,1	2,3	10,3
5	ინტერნეტი	12,1	18,1	13,7	43,9
6	საკანონმდებლო აქტების ინფორმაციული განახლების მომსახურება	0,0	1,8	0,0	1,8
7	სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემით საკომუნიკაციო მომსახურება	0,0	0,0	0,3	0,3
	სულ	**101,3**	**104,6**	**47,3**	**253,2**

2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის მანძილზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა შიდა სატელეფონო ნომრებიდან სასაუბრო მომსახურების შესყიდვაზე დახარჯა 136.1 ათასი ლარი. მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების და ხარჯთაღრიცხვების თანახმად, გასაწევი მომსახურება მოიცავდა საბონენტო გადასახადს, ნომრის ამომცნობის მომსახურებას, ადგილობრივ სატელეფონო საუბრებს ქსელის შიდა ნომრებზე, საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბრებს, ქსელის შიდა ნომრიდან საქალაქო სატელეფონო საუბრებს მობილურ ოპერატორებთან ქვეყნის შიგნით, სატელეფონო საუბრებს ქვეყნის გარეთ, სხვა უკაბელო და ფიქსირებულ ოპერატორებთან საუბრებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში. მაგალითად,

- არის 120 შემთხვევაზე მეტი, როდესაც მუნიციპალიტეტის სატელეფონო ქსელის შიდა ნომრიდან ერთჯერადი ზარის ხანგრძლივობა აჭარბებდა 30 წუთს, 1 საათს. ასევე, ამავე ხანგრძლივობით ხდებოდა არასამუშაო საათებშიც ზარის განხორციელება.
- ხშირ შემთხვევებში 1 შიდა სატელეფონო ნომრიდან ერთიდაიმავე ნომერზე ასეულობით ზარი ხორციელდებოდა, ხოლო 5 შემთხვევაში სატელეფონო საუბრების რაოდენობამ 1000-ს გადააჭარბა.

აღნიშნული მომსახურების გარდა, საუდიტო პერიოდში თვითმმართველ ერთეულს მობილურ ოპერატორთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები კორპორატიული ნომრებით მომსახურებაზე. მათ შორის, შესყიდული იყო სასაუბრო ლიმიტები. შედეგად, ქსელის შიდა სატელეფონო ნომრებით ქვეყნის შიგნით მობილურ ოპერატორებთან საუბრებზე გაწეულია არაგონივრულად მაღალი დანახარჯი.

2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში ციფრული ტელევიზიით მომსახურებაზე სულ გაწეულია 10.3 ათასი ლარის ხარჯი. 2013 წელს აღნიშნული მომსახურება შესყიდულია 15, 2014 წელს - 16 და 2015 წლის 6 თვეში 18 აბონენტისათვის:

	2013 წ			**2014 წ**			**2015 წ 6 თვე**		
აბონენტის რაოდენობა	4	8	3	2	11	3	8	5	5

პაკეტის ღირებულება (ლარი)	15	25	60	15	25	60	18	28	60
არხების რაოდენობა	50	90	150	50	90	150	50	90	150

აღსანიშნავია, რომ სატენდერო მოთხოვნები ითვალისწინებდა ციფრული ტელევიზიით მომსახურების პაკეტების არანაკლებ 50, 90 და 150 პროგრამის ჩვენების სერვისს. ვინაიდან 50 სატელევიზიო პროგრამის შესყიდვა შესაძლებელი იყო, მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ დაასაბუთა 90 და 150 პროგრამის საჭიროება.

რეკომენდაცია:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავდეს და დაინერგოს შესაბამისი პროცედურები, რომელიც შეამცირებს შიდა საქალაქო ტელეფონებიდან არასამსახურებრივი დანიშნულებით განხორციელებული ზარების რაოდენობას და შესაბამისად გაწეულ დანახარჯებს.

წარმომადგენლობითი ხარჯი

2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმომადგენლობითმა ხარჯებმა შეადგინა 119.5 ათასი ლარი. წლების მიხედვით, ბიუჯეტის აღნიშნული მუხლი კლების ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, 2013 წელს დაიხარჯა 65.0 ათასი ლარი, 2014 წელს - 46.0 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლის 6 თვეში - 8.5 ათასი ლარი.

წარმომადგენლობითი ხარჯებიდან, დაფინანსებულია სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. კერძოდ, საზღვარგარეთიდან და სხვადასხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრების გამასპინძლება, გადასაცემი საჩუქრები (სუვენირები, ალკოჰოლური სასმელები), მიღებების, ფურშეტების/წვეულებების მოწყობა, ოფიციალური სტუმრების გამასპინძლება კვების ობიექტებში და სხვ.

ცხრილი 5: წარმომადგენლობითი ხარჯები **(ათასი ლარი)**

ხარჯის დასახელება	*2013 წ*	*2014 წ*	*2015 წ 6 თვე*	*ჯამი*
საზღვარგარეთიდან მოწვეული სტუმრების გამასპინძლება	12,8	6,9	0,0	19,7
კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით სტუმრების გამასპინძლება	23,8	17,6	0,0	41,4
დღესასწაულებთან დაკავშირებით სტუმრების გამასპინძლება	4,0	0,7	0,0	4,7
დღესასწაულებთან დაკავშირებით ბენეფიციართა გამასპინძლება	9,6	8,3	4,7	22,6

საჩუქრები (სუვენირები, წიგნები, ალკოჰოლური სასმელი), საკონდიტრო ნაწარმი, უალკოჰოლო სასმელები	10,0	6,4	3,4	19,8
ოფიციალური ვახშამი რესტორანში	4,2	3,6	0,0	7,8
სხვადასხვა	0,6	2,5	0,4	3,5
სულ:	***65,0***	***46,0***	***8,5***	***119,5***

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ სხვადასხვა კულტურული თუ სპორტული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით მოწვეულ სტუმრებსა და მათ რაოდენობაზე ინფორმაცია არ მოიპოვება. 2013-2014 წლებში სხვა ქვეყნების დელეგაციების ოფიციალური მიღებების გარდა, 8 შემთხვევაში თანხები დახარჯულია სახელმწიფო უწყებების სხვადასხვა თანამდებობის პირების კვების ორგანიზებისათვის. კერძოდ, წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა ხდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო კანცელარიის და ქვემო ქართლის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების რესტორნით მომსახურებისათვის.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

რეკლამის ხარჯი

2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა რეკლამაზე დახარჯა 511.4 ათასი ლარი. აღნიშნული მოიცავს სატელევიზიო-საინფორმაციო და სარეკლამო მომსახურების გაწევას სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიაში“ თანხით 368.3 ათასი ლარი, ასევე შპს „გაზეთ რუსთავში“ - თანხით 143.1 ათასი ლარი.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტსა და სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, მერია კერძო ტელეკომპანიას უმეტეს შემთხვევაში უკვეთავდა სხვადასხვა სარეკლამო ვიდეო რგოლებს, რაც ტელეკომპანიაზე გაწეული ხარჯის დაახლოებით 89 %-ია.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობას ახორციელებს ქალაქ რუსთავის მერიის პრესსამსახური. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული მომსახურების ინსპექტირება ხდება ტელევიზიის საეთერო ბადის პერიოდული გადამოწმებით. შიდა ბრძანებით დანიშნული პირი ყოველი თვის ბოლოს ტელეკომპანიის მიერ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტში ასახულ ინფორმაციას ადარებს ტელევიზიის სარეკლამო ბადეში განთავსებულ რეალურ რაოდენობას. მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა ჩატარებული ინსპექტირების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები,

თუმცა აღნიშნული მტკიცებულებები არ იძლევა საკმარის ინფორმაციას კონტროლის სისტემის შესაფასებლად.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული დამატებითი აუდიტორული პროცედურების შედეგად, მოძიებული იქნა ინფორმაცია კერძო ტელეკომპანიის შემოსავლების შესახებ. აღნიშნული წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და ხელმისაწვდომია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე. მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიამ“ მიიღო შემოსავლები თანხით 647.8 ათასი ლარი, საიდანაც 57 % რუსთავის მერიის მიერ გაწეული დაფინანსებაა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტსა და შპს „გაზეთი რუსთავს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საგანს წარმოადგენდა რეკლამის გავრცელება ბეჭდურ მედიაში. რუსთავის მერია კერძო ადგილობრივ გაზეთს უკვეთავდა სხვადასხვა სარეკლამო თემების გამოქვეყნებას, რისთვისაც დახარჯა 143.1 ათასი ლარი.

2015 წელს აღნიშნული მომსახურების მისაღებად ქალაქ რუსთავის მერიას ექსკლუზიური უფლებამოსილების მოტივით, გამარტივებული შესყიდვა გაფორმებული აქვს შპს „გაზეთი რუსთავთან“[13]. კანონის თანახმად, გამარტივებული შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს, თუ მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა ბეჭდური მედიის საშუალებები. მათი გამოცემის ინტენსივობა, ტირაჟი, გავრცელების არეალი და რეალიზაციის მოცულობა აღემატება შპს „გაზეთი რუსთავის“ ანალოგიურ მონაცემებს. შედეგად, აღნიშნული შესყიდვა არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიურ უფლებას.

აღსანიშნავია, რომ შპს „გაზეთი რუსთავის“ერთ-ერთი 25%-ანი წილის მფლობელი არის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსის მოადგილე. ამავე დროს აღნიშნული სამსახური მედიაზე დახარჯული ფაქტიური თანხების ინსპექტირებას ახორციელებს. კანონის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ ისეთ საქმიანობას, როგორიცაა ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი და ზედამხედველობა, მიმწოდებლის შერჩევა გამარტივებული შესყიდვის გზით და სხვა. აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელ პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელთან თუ ისინი არიან ურთიერთდაკავშირებული მხარეები. კერძოდ, თუ ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია. ამგვარად, არ არის დაცული კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები - ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობების შესახებ.

[13] 2013-2014 წლებში აღნიშნული მომსახურების შესყიდვაზე არ ვრცელდებოდა შესყიდვების კანონმდებლობა

რეკომენდაცია:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს შესაბამისი მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს სარეკლამო მომსახურებისა და ანაზღაურებული თანხების შესაბამისობას. გააუმჯობესოს ტელევიზიის სარეკლამო ბადეში განთავსებული ინფორმაციის მონიტორინგი. აგრეთვე, განახორციელოს ინსპექტირების შედეგების დადოკუმენტირება.

შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი

2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ შენობა-ნაგებობების დაცვის მომსახურებაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 572.5 ათას ლარს. მათ შორის 162.4 ათასი ლარი გახარჯულია ქ.რუსთავის მერიის შენობის წინამდებარე მოედანზე არსებული შადრევნის 24 საათიანი შეიარაღებული დაცვის მომსახურებაზე.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მერიის წინამდებარე მოედანზე არსებული შადრევნის შეიარაღებული დაცვის საჭიროება განპირობებულია იმით, რომ შადრევნის მექანიზმი მატერიალურ ფასეულობას წარმოადგენს.

განხორციელებული აუდიტორული პროცედურების შედეგად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმისა, თუ რა საფრთხე არსებობს შადრევნის მექანიზმის მოპარვის ან დაზიანების. მაშინ როდესაც, შადრევანი მდებარეობს მერიის შენობის წინ, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, სადაც ჩართულია გარე განათება და მოძრაობს საპატრულო ეკიპაჟი. აღნიშნულით, შადრევნის შეიარაღებული დაცვის მომსახურების შესყიდვაზე, მერიის მიერ გაწეულია არაგონივრულად მაღალი დანახარჯი.

რეკომენდაცია:

- მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა საჭიროა განიხილოს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე არსებული შადრევნის შეარაღებული დაცვის მომსახურების მიზანშეწონილობა, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საბიუჯეტო თანხების არარაციონალური ხარჯვა.

არაფინანსური აქტივების ზრდა

2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით ადმინისტრაციის შენახვაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 175.4 ათას ლარს. თვითმმართველი ერთეულის მიერ შესყიდულია კომპიუტერული ტექნიკა, ტელევიზორები, ასლგადამღებები, ვიდეო-აპარატურა, ავეჯი და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

2013 წელს შპს „ვინდლაიფთან“ გაფორმდა 2 ხელშეკრულება[14] კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების შესყიდვაზე საერთო ღირებულებით 30.5 ათას ლარი. აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში შესყიდულია 15 ცალი პლანშეტური კომპიუტერი საერთო ღირებულებით 13.3 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით, აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარდა კომპიუტერული ტექნიკის დათვალიერება. გამოვლინდა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე სარგებლობდა 2 ერთეული პლანშეტური კომპიუტერით, 2 ნოუთბუქით და 1 პერსონალური კომპიუტერით. გარდა ამისა, 4 ერთეული პლანშეტური კომპიუტერი გამოუყენებელია და შენახულია მერიის ადმინისტრაციის სამსახურის სეიფში. ასევე, 2014 წელს შესყიდული 2 ერთეული ყურსასმენი - ჯამური ღირებულებით 640 ლარი, გამოუყენებელი ინახებოდა საკრებულოს აპარატის სეიფში.

აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლენილი გარემოების შემდეგ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოუყენებელი პლანშეტური კომპიუტერები გადასცა შესაბამის პასუხისმგებელ პირებს.

მერიის მიერ პლანშეტური კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის აუცილებლობა არ არის სათანადოდ დასაბუთებული. ასევე ზოგიერთი ტექნიკა საჭიროების მიხედვით არ არის გადანაწილებული პასუხისმგებელ პირებზე, რომლებიც აღნიშნული ტექნიკით შესაძლოა სარგებლობდნენ არასამსახურებრივი დანიშნულებით.

სატრანსპორტო საშუალებები

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს №364 ბრძანებულებითა[15] და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით[16], საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, საშტატო რიცხოვნობის მიხედვით, განსაზღვრულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ფლობის ზღვრული ოდენობები. ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების დროს ავტომანქანების კლასების მიხედვით დადგენილია მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები და ზღვრული ფლობის ღირებულება, რომელთა გაზრდა შესყიდვის დოკუმენტაციაში დაუშვებელია. აღნიშნული სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვა თვითმმართველი ერთეულებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა. წარმოდგენილი ინფორმაციით აუდიტის ობიექტმა არ გაითვალისწინა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული რეკომენდაციები, კერძოდ:

- 2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საშტატო რიცხოვნობა მერყეობდა 250-დან 327 ერთეულამდე. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების

[14] ხელშეკრულება №01/505 და №01/455

[15] „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“

[16] „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“

მიხედვით, 2013 წელს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტს თანამშრომლების სამსახურებრივი მიმოსვლისათვის უნდა გამოეყენებინა 6 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2014 წელს რეკომენდირებული იყო - 9 ერთეული, ხოლო 2015 წელს - 8 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა. 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი თანამშრომელთა სამსახურებრივი მიმოსვლისათვის სარგებლობდა 15 ერთეული ავტომანქანით, რაც აღემატება კანონმდებლობით რეკომენდირებულ ზღვრულ ოდენობებს.

- 2015 წელს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი ავტოსატრასპორტო საშუალების შესყიდვაზე (ჩანაცვლების გზით)[17]. ტენდერის შედეგად ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „იბერია-ავტოს“ ღირებულებით 58.9 ათასი ლარი. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით ჩანაცვლდა ქ. რუსთავის მერის სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი 2010 წლის გამოშვების ავტოსატრანსპორტო საშუალება[18] 2014 წლის იმავე მარკის ავტომანქანით. აუდიტორული დასკვნით აღნიშნული ავტომანქანა შეფასებული იყო 11.5 ათას ლარად. შესაბამისად ჩანაცვლების შედეგად წარმოქმნილმა ფასთა სხვაობამ 47.4 ათასი ლარი შეადგინა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით მე-2 კლასის მსუბუქი ავტომობილის ზღვრული ღირებულება შეადგენს 21.0 ათასი დოლარის ეკვივალენტს ლარში. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული (ჩანაცვლებული) ავტომანქანის ღირებულება აღნიშნული დროისათვის ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით შეადგენდა 25.0 ათას დოლარზე მეტს, რაც აღემატება კანონმდებლობით რეკომენდირებულ ნორმას.

თვითმმართველ ერთეულს 2015 წლის მდგომარეობით ბალანსზე აღრიცხული აქვს 36 ერთეული მსუბუქი და მაღალი გამავლობის ავტომანქანა. აუდიტის ჯგუფმა პასუხისმგებელ პირთან ერთად დაათვალიერა ბალანსზე რიცხული ავტომანქანები. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ბალანსზე რიცხული 10 ერთეული ავტომანქანა მწყობრიდან არის გამოსული, ხოლო 5 ერთეული ავტომანქანის არსებობა ვერ დადასტურდა. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია აღნიშნული ავტომანქანების ადგილსამყოფელის შესახებ და არ არის გატარებული შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. გარდა ამისა, 5 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომანქანა თხოვების წესით გადაცემულია სხვადასხვა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის[19].

აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლენილი გარემოების შემდეგ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა დოკუმენტური ინფორმაცია 1 ერთეული ავტომანქანის ადგილსამყოფელის შესახებ. აღნიშნული ავტომანქანა თხოვების ფორმით გადაცემულია ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსზე“.

---

[17] შესყიდვა დაიგეგმა 2015 წლის თებერვალში

[18] VOLKSWAGEN PASSAT

[19] ავტომანქანა LAND ROVER გადაეცა კრიზისების მართვის საბჭოს, VOLKSWAGEN TOUAREG - ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციას, TOYOTA CAMRY და TOYOTA LAND CRUISER PRADO - შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს და TOYOTA LAND CRUISER - თავდაცვის სამინისტროს

რეკომენდაცია:

- საბიუჯეტო რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით, იმსჯელონ ავტოსატრასპორტო საშუალებების სახელმწიფოსთვის თხოვების ფორმით გადაცემის მიზანშეწონილობაზე.
- ავტომანქანების ადგილსამყოფელის დასადგენად, მუნიციპალიტეტის მიერ საჭიროა გატარდეს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

ფასიანი სანომრე ნიშნები, ავტოპარკირების მომსახურება და ჯარიმები

2013-2014 წლებში განხორციელდა თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე რიცხული 2 ერთეული სატრანსპორტო საშუალების სანომრე ნიშნების შეცვლა. თვითმმართველი ერთეულის მიერ არ არის დასაბუთებული სანომრე ნიშნების შეცვლის აუცილებლობა და საჭიროება. აგრეთვე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადახდილია ავტოპარკირების მომსახურებისა და ჯარიმების, მათ შორის საპატრულო ჯარიმის თანხა, რომელთა ანაზღაურება უნდა დაკისრებოდათ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე შესაბამის პასუხისმგებელ პირებს. კერძოდ,

- სატრანსპორტო საშუალება VOLKSWAGEN PASSAT-ის ძველი ნომერი - RST555 შეიცვალა RST 009-ით. ნომრის შეცვლაში გადახდილია 300 ლარი.
- სატრანსპორტო საშუალება VOLKSWAGEN PASSAT-ის ძველი ნომერი - SAK010 შეიცვალა RST 041-ით. ნომრის შეცვლაში გადახდილია 315 ლარი.
- სატრანსპორტო საშუალება MERSEDES BENC-ის ძველი ნომერი - WOM787 შეიცვალა BQ 041 BQ-ით. ნომრის შეცვლაში გადახდილია 70 ლარი.
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადახდილია 700 ლარის ჯარიმები და საურავები, მათ შორის 600 ლარი - შპს „სი-ტი პარკის“ ჯარიმებისა და საურავების, ხოლო 100 ლარი - საპატრულო ჯარიმის.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა

გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით შესყიდული სამუშაოები

ქალაქ რუსთავის მერიამ 2012 წლის 6 აგვისტოს გამარტივებული შესყიდვის გზით ხელშეკრულება გაუფორმა შპს „გზატკეცილი +“-ს. ხელშეკრულება ითვალისწინებდა შიდა ეზოებისა და რკინიგზის სადგურის მიმდებარე მოედნის ასფალტირების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ღირებულებით 1 999.9 ათას ლარი. აღნიშნული პროექტი 2012 წელს უნდა

დაფინანსებულიყო 1 000.0 ათასი ლარით, ხოლო 2013 წელს - 999.9 ათასი ლარით. პროექტის ფარგლებში სულ დაიხარჯა 1 973.6 ათასი ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებების შესწავლით გამოვლინდა რისკის შემცველი გარემოებები სამუშაოების დაგეგმვის, შესყიდვის საშუალების შერჩევისა და თანხის ანაზღაურების პროცესში.

სამუშაოების დაგეგმვა. წარმოდგენილი ინფორმაციით, შესასრულებელ სამუშაოებზე არ არის მომზადებული საპროექტო დოკუმენტაცია. სამუშაოების მოცულობები განისაზღვრა ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ შედგენილი დეფექტური აქტების საფუძველზე. მერიამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები, რის საფუძველზე დადგინდა სახელშეკრულებო ღირებულება.

სამუშაოების შესასრულებლად მიმწოდებელს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, ხელშეკრულება გაუფორმდა გამარტივებული შესყიდვის გზით. სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის საფუძველს წარმოადგენდა ავარიული გზები. აღსანიშნავია, რომ სამუშაოები არ წარმოადგენდა ერთ მთლიან ობიექტს და გულისხმობდა ქ. რუსთავში 27 სხვადასხვა ქუჩისა და შიდაკვარტალური ეზოების რეაბილიტაციას. ამასთან 2012 წელს სამუშაოების მხოლოდ ნაწილი უნდა დასრულებულიყო, ხოლო დანარჩენი 2013 წლის მაისამდე.

კანონის შესაბამისად[20], გადაუდებელი აუცილებლობა არის ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული. აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი შესყიდვის განხორციელების კონკრეტული მოტივი არ შეიძლება ჩაითვალოს გადაუდებელ აუცილებლობად, რადგან სამუშაოების წინასწარი დაგეგმვა და ელექტრონული ტენდერის გზით შესყიდვა, რეალურად შესაძლებელი იყო. კანონით[21] გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოს ან მომსახურეობის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს. აუდიტის ობიექტი თუ საჭიროდ ჩათვლიდა, რომ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა, სამუშაოს მოცულობები და შესრულების ვადები მიზანშეწონილი იყო განესაზღვრა კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ, ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო არა 2012-2013 წლების განმავლობაში 27 ქუჩის რეაბილიტაციაზე, არამედ გონივრულ ვადაში, სამუშაოების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც რეალურად წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას.

ფინანსური ანგარიშსწორება. საქართველოს მთავრობის, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად[22], 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის გზით შეძენილი სამშენებლო სამუშაოების

[20] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მუხლი 3 პუნქტი „ლ“

[21] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მუხლი 10 პუნქტი „ბ“

[22] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

წარმოდგენილი ინფორმაციით, მერიას შპს „გზატკეცილი + თან“ ფინანსური ანგარიშსწორების დროს არ გაუთვალისწინებია კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნა. შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს აუნაზღაურდა ფაქტობრივი დანახარჯების წარმოდგენის გარეშე. კერძოდ, მიმწოდებლებს სამუშაოების ღირებულება - 1 973.6 ათასი ლარი აუნაზღაურდა სამუშაოს შესრულების აქტებში (ფორმა №2) დაფიქსირებული ღირებულების და არა ფაქტობრივი დანახარჯის მიხედვით. მერიამ, აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, ვერ წარმოადგინა ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მიმწოდებელთან ხელშეკრულება გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის გზით, უკონკურენტო გარემოში, ამასთან არ იყო შედგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და შესაბამისად სათანადოთ არ იყო განსაზღვრული სავარაუდო ღირებულება. აქედან გამომდინარე, არსებობს მაღალი რისკი, რომ ფაქტობრივი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდეს ფინანსური უზუსტობები.

რეკომენდაცია:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვის დროს, შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებლებს აუნაზღაუროს ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით. შეუსაბამობების არსებობის ან დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თვითმმართველმა ერთეულმა გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

შიდა კვარტალური ეზოების ასფალტირება

უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები

2013 წლის 21 ოქტომბერს მერიის მიერ გაფორმდა ხელშეკრულება[23] შპს „გამა პლიუსთან“ შიდა კვარტალური ეზოების ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, ღირებულებით 1379.8 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ჩატარდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საინჟინრო და სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა. დასკვნის მიხედვით, ვიზუალური დათვალიერებით ასფალტის ზედაპირზე რიგ შემთხვევაში გამოვლინდა ხარვეზები[24], რომლის გათვალისწინებაც

[23] ხელშეკრულება N06/386

[24] დასკვნაში არ არის აღნიშნული ინფორმაცია კონკრეტული ხარვეზის შესახებ

დამკვეთის პრეროგატივას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა მერიას აღნიშნულ ხარვეზებზე რეაგირება არ მოუხდენია. სამუშოების ჩაბარებიდან ორი თვის შემდეგ მერიაში შემოვიდა მოსახლეობის საჩივარი საცხოვრებელი სახლების ეზოებში ასფალტის საფარის დეფექტების არსებობის შესახებ. კერძოდ, ასფალტის საფარზე წვიმის დროს კეთდება გუბეები, არასწორი დაქანების გამო წყალი ჩადის საცხოვრებელი კორპუსების სარდაფებში და სხვა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მერიამ საგარანტიო ვადის ფარგლებში მიმართა მიმწოდებელს ხარვეზების აღმოსაფხვრელად. თუმცა მდგომარეობის გამოსასწორებლად კონკრეტული ღონისძიებები არ გატარებულა. აუდიტის ჯგუფის მიერ დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარების შედეგად გამოვლინდა, რომ ხარვეზები აუდიტის მიმდინარეობის პროცესშიც არსებობდა, რაც დაადასტურა კორპუსის მაცხოვრებლებმა წერილობითი განმარტებით.

2013 წლის აგვისტოში ქალაქ რუსთავის მერიამ გააფორმა ორი ხელშეკრულება[25] შპს „გარდაბნის საგზაო სამმართველოსთან“ შიდა კვარტალური ეზოების (36 ობიექტი) ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, სულ ღირებულებით 908.9 ათასი ლარი. აღნიშნულ სამუშაოებზე ჩატარებული სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნიდან ირკვევა, რომ 16 ობიექტზე სამუშაოები უხარისხოდ არის შესრულებული. კერძოდ, ასფალტის საფარი მოწყობილია უსწორმასწოროდ, არ გააჩნია შესაბამისი ქანობები, რის გამოც ატმოსფერული ნალექები ჩაედინება სადარბაზოებში. აღსანიშნავია, რომ დასკვნის თანახმად ობიექტზე საჭიროა დამატებით ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რაც მერიამ არ შეასრულა. მერიის მოთხოვნის საფუძველზე მიმწოდებელმა ხარვეზების აღმოსაფხვრელად განახორციელა დამატებითი სამუშაოები, თუმცა ხელმეორედ ჩატარებული ექსპერტიზითაც ხარვეზების მხოლოდ ნაწილი არის გამოსწორებული.

ექსპერტიზა

2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის მანძილზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს გზების მშენებლობაზე საინჟინრო და სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზის მომსახურება შესყიდული აქვს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან“. საექსპერტო დასკვნებით ირკვევა, რომ შესწავლილია სამუშაოების მხოლოდ ხილული ნაწილი, კერძოდ, ასფალტის საფარის ზედაპირის ფართები შედარებულია შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმაN2) დაფიქსირებულ მონაცემებს. ექსპერტიზაზე არ არის წარდგენილი ფარული სამუშაოების აქტები, შესაბამისად მოსაზრება ფარული სამუშაოების შესახებ ექსპერტს არ გამოუთქვამს.

2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში ასფალტის საფარის ხარისხის დასადგენად, მერიას ჩატარებული არ აქვს ლაბორატორიული კვლევები. დამატებითი აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ მიმწოდებლების მიერ ლაბორატორიული კვლევა ჩატარებულია მხოლოდ ქუჩებში მოწყობილ 2 ფენოვან

[25] 01.08.2013 წელს ხელშეკრულება N06/352, 09.08.2013 წელს ხელშეკრულება N06/353

ასფალტზე, ხოლო შიდა კვარტალურ ეზოებში დაგებულ ასფალტის ერთი ფენიან საფარზე - კვლევა არ განხორციელებულა. აღსანიშნავია, რომ ასფალტის საფარის ნიმუშის ამოჭრა და ლაბორატორიაში მიტანა ხდებოდა მიმწოდებლის მიერ. აღნიშნული გარემოების არსებობა წარმოშობს რისკს იმისა, რომ ლაბორატორიული კვლევა შესაძლოა ჩატარებულიყო სხვა ობიექტიდან აღებულ ასფალტის ნიმუშზე.

ტექნიკური ზედამხედველი

2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვის მანძილზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ, გზებისა და შიდა კვარტალური ეზოების ა/ბეტონის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებაზე, გააფორმა 15 ხელშეკრულება ი/მ „ტარიელ ივაჩიძესთან“ და 2 ხელშეკრულება ი/მ „იოსებ სისვაძესთან“. აღნიშნული მომსახურებისათვის მერიამ მიმწოდებლებს აუნაზღაურა 101.1 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ტექნიკურ ზედამხედველს ევალებოდა:

- ფარული სამუშაოს, მოცულობათა ან ფასთა ცვლილების აქტების შედგენა, ლაბორატორიული გამოცდის ოქმების გაშიფვრა;
- ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი სარეაბილიტაციო სამუშაოთა მოცულობისა და ღირებულების შემოწმება და დადასტურება;
- შემსყიდველისათვის სისტემატიურად ინფორმაციის მიწოდება;
- მშენებლობის ხარისხისა და ფაქტიური მოცულობების საპროექტო მოცულობებთან შესაბამისობის კონტროლი და სხვ.

ტექნიკური ზედამხედველის მიერ შედგენილი ფარული სამუშაოების აქტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „გზატკეცილი+“-ის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე დოკუმენტურად ვერ დასტურდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მოცულობების შესაბამისად გზის საფუძვლის, შემასწორებელი ფენისა და სხვა ფარული სამუშაოების შესრულება. კერძოდ, ფარული სამუშაოების აქტები არ მოიცავს ჩატარებული სამუშაოების მოცულობებს, რაოდენობებსა და თარიღს. აგრეთვე, იყო შემთხვევები, როდესაც ტექნიკური ზედამხედველის მიერ შუალედური შესრულების აქტებით ჩაბარებულია ისეთი სამუშაოები, რომლებიც ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით არის უხარისხოდ შესრულებული და საჭიროებს გამოსწორებას.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში შექმნილია ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახური. დებულებით სამსახურს ევალება საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის პროცესების ორგანიზება, მონიტორინგი და ზედამხედველობა. აღნიშნული სამსახურის საშტატო რიცხოვნობა 2013-2014 და 2015 წლის 6 თვეში მერყეობდა 11-დან 19 ერთეულამდე, ხოლო თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებამ სააუდიტო პერიოდში 330 ათას ლარზე მეტი შეადგინა.

დაურიცხავი პირგასამტეხლო

2013 წელს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ გზების მოწყობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული იყო სამუშაოების შესრულება გეგმა-გრაფიკის მიხედვით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევდა მიმწოდებლის დაჯარიმებას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით. 3 ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლების მიერ სამუშაოები გეგმა-გრაფიკის დარღვევით განხორციელდა. მერიის მიერ დაურიცხავმა პირგასამტეხლომ შეადგინა 167 ათას ლარზე მეტი.

- 2013 წლის 22 აგვისტოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტსა და შპს „გზატკეცილი +“ შორის გაფორმდა ორი ხელშეკრულება[26] შიდაკვარტლური ეზოების ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე[27]. 2013 წლის 29 ნოემბერს მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმებით სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 31 მარტი და შესაბამისად გეგმა-გრაფიკის პირობა ამოღებული იქნა. თუმცა 29 ნოემბრამდე მიმწოდებელმა სამუშაოები ხელშეკრულებით განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის დარღვევით შეასრულა. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენდა 160 ათას ლარზე მეტს.
- 2013 წლის 9 აგვისტოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტსა და შპს „გარდაბნის საგზაო სამმართველოს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება[28] შიდაკვარტლური ეზოების ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. მიმწოდებელმა სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევით შეასრულა. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენდა 7 ათას ლარზე მეტს.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ასფალტირების სამუშაოების გეგმა-გრაფიკის დარღვევით შესრულება გამოიწვია პარალელურად მიმდინარე წყლის ქსელის რეაბილიტაციამ. აუდიტის ანგარიშის პროექტის გაცნობის შემდეგ, აუდიტის ობიექტმა დამატებით წარმოადგინა შპს „რუსთავის წყალის“ 2016 წლის 4 მაისის წერილი, სადაც აღნიშნულია ინფორმაცია ქალაქ რუსთავში ჩატარებული წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისა და დასრულების ვადების შესახებ. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, 20-დან მხოლოდ 4 ობიექტზე დასტურდება პარალელურად წყლის სისტემის რეაბილიტაციის ჩატარება.

შესყიდვების ხარვეზი

2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრაციული ხარჯების ფარგლებში განხორციელდა 93 გამარტივებული

[26] ხელშეკრულება №06/360 და №06/362
[27] სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 29 ნოემბერი
[28] ხელშეკრულება №06/353

ელექტრონული ტენდერი, აქედან 14 ტენდერი[29] ჩატარდა უკონკურენტო გარემოში. მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით ჩატარდა ისეთი შესყიდვები, რომლებიც, როგორც წესი, ხასიათდება მაღალი კონკურენციით: საოფისე ინვენტარის, საოფისე ავეჯის, ინტერნეტ-კავშირის მომსახურების, ავტომანქანების რეცხვის, სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების შესყიდვა და სხვ.

დაბალ კონკურენციას შესაძლოა ხელს უწყობდეს ის გარემოება, რომ სატენდერო წინადადების გასაცნობად მუნიციპალიტეტის მიერ პრეტენდენტებისათვის განკუთვნილია დროის მცირე მონაკვეთი. კერძოდ, უკონკურენტო გარემოში ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერებიდან, სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადად გამოყენებულია 1-დან 3 დღემდე. თუ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია შეზღუდულ ვადაში საქონლის/მომსახურების შესყიდვის აუცილებლობა, სასურველია დაწესდეს ინფორმაციის გაცნობის არა მინიმალური ვადა, არამედ გაიზარდოს პერიოდი, რაც შეიძლება მეტი პრეტენდენტის ინფორმირების მიზნით.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი: გიორგი შურღაია		ხელმოწერა	11.05.2016 თარიღი
აუდიტორი: ირმა ხეცურიანი		ხელმოწერა	11.05.2016 თარიღი
აუდიტორი: თეა უდესიანი		ხელმოწერა	11.05.2016 თარიღი
აუდიტორი: ნატალია საღარეიშვილი		ხელმოწერა	11.05.2016 თარიღი
აუდიტორ-ასისტენტი: ნინო ლაღიძე		ხელმოწერა	11.05.2016 თარიღი

[29] სულ გაფორმებული სახელშეკრულებო ღირებულებაა 255.9 ათასი ლარი,